




3700, რუსთავი,
ბოსტანკალაკის ქ. №3
ტელ. (0341) 24-18-98
ელ-ფოსტა
rvaliuni@gmail.com

3700, rustavi,
Bostankalaki str. №3,
Tel. (0341) 24-18-98
e-mail:
rvaliuni@gmail.com



EUROPEAN QUALITY

**შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტის 2017 წლის 11 ივლისის
რექტორის ბრძანება №19**

**შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018
სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის შესახებ**

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის N10/ნ ბრძანების, სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა ადგილები შემდეგი ოდენობით:
 - ა) დაწყებითი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 7 ვაკანტური ადგილი;
 - ბ) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 11 ვაკანტური ადგილი;
 - გ) ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 11 ვაკანტური ადგილი;
2. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის მსურველ სტუდენტთა საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2017 წლის 27 ივლისიდან 18 აგვისტომდე.

3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 25 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით.
4. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რექტრზე პასუხისმგებელ პირს თეა თამარაშვილს დაევალოს დაარეგისტრიროს ვაკანტური ადგილები 2017 წლის 06 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით დადგენილი წესის შესაბამისად და წარადგინოს ცენტრში წერილობითი განაცხადი თანდართული ელექტრონული ფორმით.
5. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სასწავლო დეპარტამენტის უფროსს ნინო ციცხვაიას.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი



გულქან ქმოსტელი

